

**მარიკა თელორაძე**

**ენისა და დიალექტის  
გამოყენების კრიტერიუმების ანალიზი  
უ. ამონისა და ე. კოსერიუს მიხედვით**

ენისა და დიალექტის მიმართების საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ ქართულ ენათმეცნიერებაში, არამედ ზოგადად ენათმეცნიერებაში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 2000-დან 7000-მდე და ხშირ შემთხვევაში ამ სხვაობის მიზეზი არის ის, რომ არ არსებობს ენისა და დიალექტის ცალსახა დეფინიცია. სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად განმარტავს აღნიშნულ ცნება-ტერმინებს.

ენობრივი ერთეულის სტატუსის განსაზღვრას ართულებს: ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმთა სხვადასხვაობა, გამოყენებული ტერმინების სიჭრელე, ეთნოსის ისტორიის სხვადასხვაგვარი გააზრება...

ამ მხრივ საინტერესოა თანამედროვე ევროპელ მეცნიერთა მიერ ენისა და დიალექტის გასამიჯნავად შემოთავაზებული კრიტერიუმები. სტატიაში გავაანალიზებთ გერმანელი ენათმეცნიერის ულრიხ ამონისა და რუმინელი ენათმეცნიერის ევგენიო კოსერიუს შეხედულებებს.

**უ. ამონმა** გერმანული ენისა და დიალექტების მიმართების საკითხს არაერთი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნა. კერძოდ, მეცნიერი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დიალექტის სწავლება გერმანიის სკოლებში; გერმანული ენის ადგილი მსოფლიო ენებს შორის; ენა – დიალექტი, ენობრივი ვარიანტი, სტანდარტული ენა... ის გვთავაზობს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს ენისა და დიალექტის სტატუსი. მისთვის ამოსავალია არა ერთი კონკრეტული კრიტერიუმი, არამედ სხვადასხვა ფაქტორთა/კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელთა გათვალისწინების გარეშე ვერ დადგინდება, ენობრივი ერთეული ცალკე ენაა თუ ამ ენის დიალექტი.

უ. ამონი აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში საკუთრივ საკვლევი ტერმინები იწვევს გაუგებრობას და აზრთა სხვადასხვაობას. ენასა და დიალექტს ის ასე განმარტავს:

**ენა** - განფენის ხარისხის მრავალფეროვნება (პრესტიჟულობა) – გამოყენების მაღალი ხარისხი, კოდიფიცირებული დამწერლობა, სტანდარტულობა, სამწერლობო სტატუსი, გარკვეულწილად ხელოვნურობა...

**დიალექტი** – გამოყენების დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა, ზეპირი კომუნიკაციის საშუალება, ბუნებრიობა... მოცემული ლინგვისტური ერთეული მაშინ არის დიალექტი, თუ ის ატარებს შემდეგ ოთხ თვისებას: 1. სამეტყველო

„ენად“ ყოფნა. 2. ვარიანტად ყოფნა. 3. მცირერეგიონალურად ყოფნა. 4. არასტანდარტულად ყოფნა (არანორმირებულობა) (უ. ამონი, 1978: 110).<sup>1</sup>

ტერმინებისა და ცნებების ურთიერთმიმართება გერმანულ ენაში ძალიან საინტერესო ფაქტს წარმოადგენს. მაგალითად, აქ გვხვდება ისეთი ტერმინები, რომლებიც ძნელად განსასაზღვრია, ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ თუ განსხვავებულ მნიშვნელობებს ატარებენ. მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს სტანდარტული ენობრივი ვარიანტის რამდენიმე სახეცვლილი ფორმა: სტანდარტული ენა, სალიტერატურო ენა, კულტურული ენა, სამწერლობო ენა, მაღალი ენა, განსაკუთრებული ენობრივი ვარიანტი და ა.შ. კვლევები აჩვენებს, რომ ეს ტერმინები განსხვავებულ მნიშვნელობებს გულისხმობენ და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევიან. მაგალითად, სამწერლობო ენა იმდენად არის სტანდარტული ენის სინონიმი, რამდენადაც ის გამოიყენება მხოლოდ ორთოგრაფიულად სტანდარტული ენის აღსანიშნავად. სხვა შემთხვევაში ისინი ერთმანეთის სინონიმებად არ აღიქმებიან (უ. ამონი, 1983: 36).

უ. ამონი ასახელებს ენასა და დიალექტს შორის ურთიერთგაგებინების ხარისხს, რომელიც შეიძლება იყოს ზეპირი ან წერიტი ხასიათის, ანუ რამდენად შეუძლიათ ერთმანეთის ნაწერისა და მოსმენილის გაგება. მაგალითად, ჩინური ენის ზოგიერთი ვარიანტი სტანდარტულ ჩინურთან მხოლოდ დამწერლობით არის დამოკიდებული, ხოლო სასაუბრო ვარიანტები განსხვავდებიან, თუმცა ეს კრიტერიუმიც სავსებით საკმარისია, რომ ისინი ერთ სტანდარტულ ენას დაუქვემდებარონ. ამის საპირისპიროდ, სერბული და ხორვატიული, მოლდოვური და რუმინული, ჰინდი და ურდო მხოლოდ ზეპირი ფორმით უკავშირდებიან ერთმანეთს. ერთმანეთისგან განასხვავებენ მხოლოდ ორი ტიპის ენას, რომლებიც ენობრივი ვარიანტების დაჯგუფებას სხვადასხვანაირად ახერხებენ: 1) ენა და სტანდარტული ენობრივი ვარიანტები, რომელთაც სხვაგვარად სტანდარტულ ენებს უწოდებენ. მაგალითად, დღევანდელი სლოვაკური ან იტალიური იგივეება სლოვაკურ ან იტალიურ სტანდარტულ ენასთან; 2) ენა და სტანდარტული ენობრივი ვარიანტები, რომლებსაც არასტანდარტულ ენებს უწოდებენ, მაგალითად, ბასკური და ალბანური სტანდარტული ვარიანტის გარეშე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, დაიძებნოს ენისა და კილოს სტატუსის დამდგენი დამატებითი მახასიათებლები. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ დასახელებული იყო სხვადასხვა კრიტერიუმი. უ. ამონი განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ კრიტერიუმებს, თუმცა მიუთითებს, რომ ახალი ენობრივი ერთეულის გამოყოფისას მაინც განსხვავებული კრიტერიუმები იჩენს თავს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი ხდება. ყველა ეს ცალკეული პრინციპი საერთო უნდა იყოს, თორემ სხვა

<sup>1</sup> შდრ.: ტ. ფუტკარაძე. ენა არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საწყაროს ხელკაღიქმის, აზროვნების, შემოქმედების, განათლების, კომუნიკაციისა (ინფორმაციის გაცვლისა) და ცოდნის შენახვის საშუალებად; ენა არის კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. დიალექტური მეტყველებაც ბგერით ნიშანთა სისტემაა, ენის ყველა ფუნქცია დიალექტურ მეტყველებასაც შეიძლება აქონდეს. დიალექტი არის მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს (ტ.ფუტკარაძე, 2017: 122).

შემთხვევაში დიალექტი ცალკე ენობრივ ერთეულად არ გამოიყოფა. ასეთ კრიტერიუმებს განეკუთვნება:

➤ გენეალოგიური ნათესაობა. ანუ ერთი ენობრივი ჯგუფიდან წარმომდგარი ვარიანტები

- ენის ისტორია და მისი განვითარება
- ავტონომიურობა, ენობრივი დისტანცია და ენობრივი სიახლოვე
- ორმხრივი გაგებინება
- ენის ტერიტორიული გავრცელება, ან გეოგრაფიული შეზღუდვა
- მოსაუბრეთა რაოდენობა
- განსაზღვრულ ადგილებში ენის გამოყენება
- გამოყენების სფეროები, სოციო-ლინგვისტური და კულტურული სფეროები
- ოფიციალური ენის სტატუსი
- მოსაუბრეთა მხრიდან ენის აღიარება
- მოსაუბრეთა ეესტ-მიმიკები
- დამწერლობის შექმნა
- ნორმების სტანდარტიზაცია და დაწესება
- გრამატიკისა და ლექსიკონების შექმნა
- საგაკვეთილო ენად დიალექტის გამოყენება
- ენის ინსტიტუციური გაკვეთილი
- დამწერლობის შექმნა, ლიტერატურული ტრადიციები (პროზა, პოეზია)
- მედიაში გამოყენება.

უ. ამონი მსჯელობს ცალკეულ კრიტერიუმებზე. მისი აზრით, ენობრივი ვარიანტის ტერიტორიული გავრცელება დამოკიდებულია მოსაუბრეთა რაოდენობაზე და გამოყენების სფეროებზე. ენის გამოყენება საგაკვეთილო ენად თითქმის ყოველთვის თვითონ ენის გაკვეთილისთვის არის დამახასიათებელი. მდგომარეობის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი და კრიტერიუმი იყოს რელევანტური.

ზოგიერთი ავტორი ენობრივი ერთეულის განსაზღვრის მიზნით მისი იურიდიული სტატუსის გარკვევას ცდილობს. მკვლევართა ეს ჯგუფი ცდილობს ენობრივი ვარიანტები სახელმწიფო ენის სტატუსით აღჭურვონ, რითაც მას ხალხური ენისგან, ანუ დიალექტისგან, განასხვავებენ. ამას მოწმობს რუსინულისა და რუთენულის ენობრივი ვარიანტები. უკრაინაში, სლოვაკეთში, პოლონეთსა და ჩრდილოეთ უნგრეთში გავრცელებული ენობრივი ვარიანტები სახელმწიფო სტატუსს არ ფლობენ, რაც მათთვის ერთადერთი კრიტერიუმია, რომ ენად აღიარონ. ამიტომ უკრაინაში ისინი უკრაინული ენის დიალექტებად მიიჩნევა. რადგან რუთენები დღევანდელი სერბეთისა და ხორვატიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გადმოსახლდნენ და იქ ე.წ. ენობრივი კუნძულის სიტუაცია შეიქმნა. რუთენულს იუგოსლავურ-რუმინულთან ერთად სერბეთში სახელმწიფო სტატუსი აქვს. XX საუკუნიდან მოყოლებული მას საკუთარი დამწერლობა აქვს, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ისწავლება და საკუთარი ენის აკადემია გააჩნია. მოსაუბრეთათვის რუთენულს სრულყოფილი ენის სტატუსი გააჩნია სერბეთში.

უ. ამონი სტატუსის კრიტერიუმის პრობლემატიკის საილუსტრაციოდ განიხილავს მექსიკის მაგალითს. მექსიკური კანონმდებლობა მექსიკაში გავრცელებულ ყველა ენას განსაკუთრებულად იცავს. პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, გავრცელებულ ენობრივ ვარიანტებს შორის რომელი აღიქმება ენად და რომელი დიალექტად. თუმცა მექსიკური ენების კატალოგში

მითითებულია ისიც, რომ ყველა ენობრივი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ ენად, რომელთა გამოყენება შეიძლება საჯარო და კერძო დაწესებულებებში თანაბრად. 2008 წელს გამოცემული კატალოგის მიხედვით, მექსიკაში 364 ენაა გავრცელებული, რომელიც ლინგვისტებისთვის აბსურდია, რადგან ამდენი ენობრივი ვარიანტის ენად აღიარებამ შეიძლება დივერსია გამოიწვიოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დიალექტისათვის ცალკე დამწერლობის შექმნას მკვლევრები სერიოზულ არგუმენტად არ მიიჩნევენ დიალექტის ცალკე ენობრივ ერთეულად გამოყოფისათვის. მაგ., ჩილესა და არგენტინაში გავრცელებული ენა მაპუდუნგუნი რამდენიმე ათეულ ისეთ გრაფემას შეიცავს, რომლებიც სალიტერატურო ენაში უკვე აღარ გამოიყენება, თუმცა ეს მხოლოდ რეგიონული ენობრივი ვარიანტის არსებობას ადასტურებს და არა დამოუკიდებელი ენისა.

ენა-დიალექტის მიმართების საკოხზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ე. კოსერიუსს. მკვლევარს განმარტებით, ენა ძირითადი სისტემაა, დიალექტი კი არის ამ სისტემის (ეროვნული ენის) ნაირსახეობა, ვარიანტი. დიალექტი მიმართებითი ტერმინია. ის თავის მნიშვნელობას იძენს მხოლოდ ენასთან კავშირში, რადგან მხოლოდ ენის დიალექტი არსებობს. მისგან განსხვავებით ენა რელატიური ტერმინი არაა, რადგან მისი, როგორც ცნების, გამოყენება დიალექტის გარეშეც არის შესაძლებელი ამიტომაც ენა ავტონომიურ, დამოუკიდებელ ცნებად ითვლება. მეცნიერი ასკვნის, რომ დიალექტი ენას არ წარმოადგენს. შესაბამისად, ენა მოიცავს დიალექტს, ხოლო ყოველი დიალექტი ენის შემადგენელი ნაწილია (ე. კოსერიუსი, 1980: 102).

ე. კოსერიუსისთვისაც მთავარ პრობლემას წარმოადგენს დიალექტის ენისგან გამოყოფის კრიტერიუმები. ვრცლად მსჯელობს გაგებინების კრიტერიუმზე. მისთვის მიუღებელია დიალექტის გამოყოფა გაგებინების ხარისხის მიხედვით. კონკრეტულად, ეს ნიშნავს: თუ მე მოსაუბრის მეტყველებას ვერ ვიგებ, მაშინ ის სხვა ენაზე საუბრობს, თუ ოდნავ ვიგებ, შესაბამისად, ის სხვა დიალექტზე საუბრობს, ხოლო თუ მე მის საუბარს სრულყოფილად ვიგებ, მაშინ ერთ ენაზე (დიალექტზე) ვსაუბრობთ. ეს ყოველად გამოუსადეგარი არგუმენტია, რადგან ერთ ენას შეიძლება ჰქონდეს ისეთი დიალექტები, რომლებზეც მოსაუბრეებს ერთმანეთის გაგება არ შეუძლიათ, თუმცა ისინი მაინც ერთი ენის დიალექტებად რჩებიან და არა გასხვავებულ ენებად. მაგალითად, იტალიური ენის შემთხვევაში, არის საპირისპირო შემთხვევებიც. მიუხედავად გაგებინების გარკვეული ხარისხისა, ენობრივი ვარიანტები დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევა, მაგალითად, პორტუგალიური და ესპანური, დანიური, ნორვეგიული და შვედური.<sup>1</sup>

შდრ.: მსგავსი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ქართველ ენათმეცნიერებს (ტ. ფუტყარაძე, თ. გვანცელაძე, რ. შეროზია, მ. ლაბაძე...) ტ. ფუტყარაძის აზრით, „გაგებინება ენისა და დიალექტის გასამიჯნ კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება; გაგებინება ლოგიკური კრიტერიუმია და არა — ლინგვისტური; არც ერთი კულტურული ენის სტატუსი არ დადგენილა გაგებინების საფუძველზე. გარდა ამისა, ენად წოდებულ ბევრ მეტყველებას შორის არის გაგებინება და პირიქით: მსოფლიოს ბევრ ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა შორის გაგებინება შეუძლებელია. იშვიათ შემთხვევაში გაგებინების ფაქტორს მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს არაკონსოლიდირებული ველური ტომების მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას“ (ტ. ფუტყარაძე, 2017: 12)

თ. გვანცელაძე: „გაგებინება არ არის წმინდა ლინგვისტური მოვლენა... გაგებინება ანუ კომუნიკაცია ენის ერთ-ერთი, წმინდა სოციალური ფუნქციაა და არა ლინგვისტური მოვლენა“ (თ. გვანცელაძე, 2006: 23).

ე. კოსერიუ ასახელებს ანტონე მაილეტის კრიტიკიუმს, რომელიც მოსაუბრის ენობრივ თვითშეგნებას უკავშირდება (როდის უნდა გამოიყენოს დიალექტი და როდის სალიტერატურო ენა). მეცნიერის დასკვნით, მოსაუბრის ენობრივი თვითშეგნება დამოკიდებულია იდეოლოგიაზე და ასევე სხვა ბევრ ფაქტორსა და გარემოებაზე, და არა მხოლოდ ენისა და დიალექტის დამოკიდებულების აღიარებაზე. ერთი მოსაუბრის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ერთი ენის ფარგლებში ორ განსხვავებულ დიალექტზე, ან კიდევ ორ ენობრივ ვარიანტზე, რომელთა გავებაც მას მეტად თუ ნაკლებად შეუძლია (ე. კოსერიუ, 1980: 104).

ამ კრიტიკიუმს პლებისციტურ კრიტიკიუმსაც უწოდებენ. ჰ.ჰარმანი, პ.აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. ადამიანების ენობრივი თუ ეთნიკური თვითაღქმა არსებითად განისაზღვრება მათი განათლების დონით. ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში. თვითმიკუთვნებულობის საფუძველი არგუმენტირებული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი ისტორიის მკოდნე განათლებულ საზოგადოებას; მაშასადამე, ენისა და დიალექტის გამიჯნა შეუძლებელია ე.წ. პლებისციტური მეთოდით; სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტიკიუმის გამოყენებას. როგორც წესი, ენობრივი თვითმიკუთვნება შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა (ტედორაძე, 2017: 134).

1983 წელს გამოცემულ ნაშრომში ე. კოსერიუ ენისა და კილოს გასამიჯნავად ასახელებს ენათმეცნიერულ კრიტიკიუმებს. თუმცა ასკვნის, რომ ამგვარი კრიტიკიუმები გადამწყვეტი აღარ არის ბოლმე (ე. კოსერიუ, 1983).

ჩვენ განვიხილეთ უ. ამონისა და ე. კოსერიუს მოსაზრებები ენა-დიალექტის მიმართების საკითხზე. თანამედროვე ევროპელი მეცნიერები გვთავაზობენ ენისა და დიალექტის საინტერესო დეფინიციებს, ასევე მსჯელობენ მათ გამმიჯნავ კრიტიკიუმებზე, თუმცა არ ასახელებენ ერთ კონკრეტულ კრიტიკიუმს, რითაც შეიძლება განისაზღვროს ენისა და დიალექტის სტატუსი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- უ. ამონი, 1983 – Ulrich Ammon. Vorbereitung einer Explizit-Definition von "Dialekt" und benachbarten Begriffen mit Mitteln der formalen Logik. In: Klaus J. Mattheier (Hrsg.): Aspekte der Dialekttheorie. Tübingen 1983 (Reihe Germanistische Linguistik. 46), S. 27-68, hier S. 36).
- უ. ამონი, 1986 – Ulrich Ammon - Sprache - Varietät/Standardvarietät - Dialekt. Duisburg: L.A.U.D., Series B, No. 1986, 147.
- თ. გვანცელაძე, 2006 – თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში. თბ., 2006.
- ე. კოსერიუ, 1980 – Eugenio Coseriu. Historische Sprache und Dialekt - Joachim Göschel, Philipps-Universität Marburg. Dialekt und Dialektologie. Forschungsinstitut für Deutsche Sprache "Deutscher Sprachatlas.", Steiner, 1980, p. 96-122.

ე. კოსერიუ, 1983 – Eugenio Coseriu, *Introduccion a la ligastica*. Madrid, 1983.

ტ. ფუტკარაძე, 2008 – ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, თბ., 2008;

ტ. ფუტკარაძე, 2017 - ტ. ფუტკარაძე, ენისა და კილოს გასამოჯნო კრიტერიუმები და ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბ., 2017.

<https://books.google.ge/books?id=a6pDBgAAQBAJ&pg=PA97&lpg=PA97&dq=Die+Kriterien+Schprache+und+Dialekt&source=bl&ots=lvIGAvzz5n&sig=Yicejr8eukoAERZmlZPkpTuvHIBQ&hl=ka&sa=X&ved=0>

A97&dq=Die+Kriterien+Schprache+und+Dialekt&source=bl&ots=lvIGAvzz5n&sig=Yicejr8eukoAERZmlZPkpTuvHIBQ&hl=ka&sa=X&ved=0

ts=lvIGAvzz5n&sig=Yicejr8eukoAERZmlZPkpTuvHIBQ&hl=ka&sa=X&ved=0

## MARIKA TEDORADZE

### *THE ISSUE OF LANGUAGE-DIALECT RELATIONSHIP ACCORDING TO U. AMMON AND E. COSERIU*

The article discusses the opinions of the German scholars – U. Ammon and E. Coseriu on language-dialect relationship.

According to E. Coseriu, a language is a main system, while a dialect represents a variety, a variant of the very system (a national language). A dialect acquires its significance only with reference to a language. The key challenge is to identify the criteria for separating a dialect from a language. The scholar does not accept the communicating of meanings as a criterion since a language may have the dialects that are incomprehensible to their speakers, however, such dialects are not differing languages, rather, they remain as dialects of the same language.

For the purposes of *separating a dialect from a language*, U. Ammon identifies different criteria such as genealogical relationship, history and development of a language, autonomy, distance and affinity, mutual comprehension, territorial spread of a language, number of speakers, spheres of use, status of an official language, norm standardization, etc.

The scholar summarizes that the above-mentioned principles must be commonly applied. Otherwise, a dialect is not isolated as a separate linguistic unit.